

კეთილი იყოს თქვენი ვიზიტი <https://www.shop.cherie.ge> -ზე.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ჩვენს წესებსა და პირობებს. თუ თქვენ შემოხვალთ ვებ გვერდზე და შეუკვეთავთ პროდუქტს, ამით თქვენ ავტომატურად აცხადებთ თანხმობას ვებ გვერდის წესებსა და პირობებზე.

ტერმინები

„საიტი“ - ვებ-გვერდი www.shop.cherie.ge

„საიტის მმართველი კომპანია“- შპს ჩერი ს/ნ 400043181, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, დიდი ლილო ნაკვ.726, ალ. ქართველიშვილის ქუჩა.

„მომხმარებელი“- ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი

„კომპანია“/„გამყიდველი“- shop.cherie.ge, რომელიც ახორციელებს მყიდველისათვის შეკვეთილი პროდუქტის მიყიდვას.

„მყიდველი“- მომხმარებელი, რომელიც ახდენს საიტზე განთავსებული პროდუქტის შეძენას

„პროდუქტი“- საიტზე განთავსებული რეალიზებადი პროდუქცია

„შეკვეთის გააქტიურება“- შეკვეთა ავტომატურად გააქტიურდება თუ მომხმარებელი ირჩევს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების მეთოდს და ადასტურებს ასეთ შეკვეთას, ხოლო თუ მომხმარებელი ირჩევს ინვოისით გადახდის მეთოდს, მაშინ მისი გადახდიდან მეორე სამუშაო დღეს

„მხარეები“- მყიდველი და გამყიდველი ერთობლივად

წესები და პირობები

შეკვეთა

- მომხმარებელს შეუძლია საიტზე რეგისტრაციის გარეშე შეუკვეთოს/შეიძინოს საიტზე განთავსებული ნებისმიერი პროდუქტი.
- შეკვეთის მიღება ხდება მომენტალურად.
- ერთჯერადი შეკვეთის მინიმალური ოდენობა შეადგენს -**10 ლარს**.
- შეკვეთა ექვემდებარება ოპერატორის მიერ გადამოწმებას და მისი მომხმარებლისათვის მიწოდება ხდება შეკვეთის გააქტიურებიდან მეორე სამუშაო დღეს.

- შეკვეთის მიწოდება ხდება მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე.
- **შეკვეთა გაუქმდება შემდეგ შემთხვევებში:**
 - 1- თუ კურიერმა შეკვეთის გააქტიურებიდან 2(ორი) სამუშაო დღის ვადაში მინიმუმ ორი მცდელობის შემთხვევაშიც ვერ მოახერხა შეკვეთის მიწოდება მომხმარებლის მისამართზე, მისივე მიზეზით (მისამართი შეცდომითაა მითითებული, ან არ იძებნება მითითებული მისამართი, ან მისამართზე არ დახვდა არავინ და სხვ.);
 - 2- მომხმარებლის მიერ ინვოისის 2(ორი) სამუშაო დღის ვადაში გადაუხდელობის დროს;
- შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში მომხმარებელს უბრუნდება გადახდილი თანხა ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შეკვეთის მიტანის პირობები

- შეკვეთის მიტანა ხორციელდება საქართველოს მასშტაბით.
- თბილისის და რუსთავის მასშტაბით დილის 09:00 სთ-მდე **გააქტიურებული შეკვეთის მიტანა** ხდება იმავე დღეს, ხოლო დილის 09:00 სთ-ის მერე **გააქტიურებული შეკვეთის მიტანა** ხდება მომდევნო სამუშაო დღის განმავლობაში.
- რეგიონებში შეკვეთის მიტანა ხდება შეკვეთიდან 3-4 დღის ვადაში.
- შეკვეთის მიწოდება ხდება სამუშაო დღეებში კვირისა და უქმე დღეების გარდა.
- ინვოისით გადახდის შემთხვევაში შეკვეთის მიტანა ხდება თანხის გადახდიდან მეორე სამუშაო დღეს.
- შეკვეთის მიწოდება ხდება კომპანიის კურიერის მეშვეობით.
- შეკვეთის მიწოდება ხდება მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე და ბარდება აღნიშნულ მისამართზე მყოფ ნებისმიერ პირს.
- შეკვეთის მიწოდება ხდება უფასოდ.

ფასი და გადახდის პირობები

- საიტზე პროდუქტის ფასები მოცემულია ლარში, დღგ-ს ჩათვლით.
- შეკვეთის საფასურის გადახდა ხდება ლარში.
- **შეკვეთის გადახდა შესაძლებელია:**
 1. ადგილზე ნაღდი ანგარიშსწორებით;

2. უნაღდო ანგარიშსწორებით საბანკო ბარათის საშუალებით;
 3. ინვოისით;
- იმ შემთხვევაში, თუ საბანკო ბარათის საშუალებით გადახდა წარუმატებლად დასრულდა, მაშინ შეკვეთა უქმდება/არ აქტიურდება.
 - იმ შემთხვევაში თუ ინვოისის წარდგენიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში არ ხდება ინვოისის გადახდა, მაშინ შეკვეთა უქმდება/ არ აქტიურდება.
 - იურიდიული პირის მიერ პროდუქტის შეძენის შემთხვევაში გამოიწერება ანგარიშ-ფაქტურა.

მომხმარებლის უფლებები და ვალდებულებები

- საიტზე შეკვეთის გაკეთება ნიშნავს, რომ მომხმარებელი სრულად ეთანხმება კომპანიის შემოთავაზებულ წესებს და პირობებს და არ გააჩნია პრეტენზიები.
- პრეტენზიის შემთხვევაში გთხოვთ, მოგვწეროთ წერილობით შემდეგ მეილზე support@cherie.ge განვიხილავთ პრეტენზიას და გიპასუხებთ 3 დღის ვადაში.

კომპანიის უფლებები და ვალდებულებები

- კომპანიის მიერ პროდუქტის ფასები, შეთავაზებები და აქციები შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს ცალმხრივად.
- იმ შემთხვევაში თუ საწყობში არ აღმოჩნდება პროდუქტი მომხმარებელს უკან დაუბრუნდება გადახდილი საფასური.
- კომპანია უფლებამოსილია ყველა მომხმარებელს აცნობოს სიახლეები ახალი პროდუქტისა და სპეციალური შეთავაზებების შესახებ ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის მეშვეობით.

ვებ-გვერდის უსაფრთხოება

- ვებ-გვერდი www.shop.cherie.ge არის დაცული, მაგრამ მიუხედავად ამისა შეგახსენებთ, რომ თქვენს მიერ ვებ-გვერდზე გაგზავნილ მონაცემებზე მესამე პირების მიერ არასანქცირებულ წვდომაზე ან/და ინფორმაციის დაზიანებაზე კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას;

პერსონალური მონაცემების დამუშავება და დაცვა

- ჩვენი კომპანია უზრუნველყოფს თქვენი პირადი მონაცემების უსაფრთხოებას და გამოიყენებს მათ მხოლოდ პროდუქტის შექმნასა და შეკვეთის მიტანისთვის საჭირო მომსახურების გასაწევად.
- კომპანია აცხადებს, რომ თქვენს მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემები, ინფორმაცია დაცული იქნება მესამე პირებისათვის გამხელისაგან და მისი გამჟღავნება მოხდება მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში.

შეკვეთისა და სხვა ყველა ქმედების შემდეგ დილაკზე ვეთანხმები-ს დაჭერით მე ვადასტურებ, რომ გავაცანი და ვეთანხმები საიტზე არსებულ წესებს და პირობებს.